Immigratie- en Naturalisatiedienst
Ministerie van Justitie en Veiligheid

რას ნიშნავს თქვენთვის არასასურველი პირის გადაწყვეტილების მიღება?

საიმიგრაციო და ნატურალიზაციის სამსახურმა IND თქვენს ყინაამღდეგ არასასურველო პირის გადაწყვეტილება მიიღო. განკარგულებაში რომელიც თქვენ მიიღეთ მითითებულია თუ რის გამო ხართ არასასურველი პირად გამოცხადებული და რას ნიშნავს ეს თქვენთვის.

1. რას ნიშნავს არასასურველი პირის გადაწყვეტილება?
2. რა არის არასასურველი პირის ხანგრძლივობა?
3. რას ნიშნავს გაფრთხილება საინფორმაციო სისტემაში?
4. როდის ხდება თქვენი მონაცემების SIS ან E&S საინფორმაციო სისტემებიდან გაუქმება?
5. რა შეიძლება მოხდეს იმ დროს როდესაც მიუხედავად ამისა მაინც ნიდერლანდებში ხართ?
6. როგორ უნდა მოიქცეთ იმ შემთხვევაში თუ არ ეთანხმებით არასასურველი პირის გადაწყვეტილებას?
7. როდის იქნება თქვენთვის შესაჩლებეთი ნიდერლანდებში კვლავ მოგზაურობა?
8. რანაირად მოითხოვთ არასასურველი პირის გადაწყვეტილების (დროებითი) გაუქმებას?
9. როგორ უნდა მოიქცეთ შეკითხვების შემთხვევაში?

1. რას ნიშნავს არასასურველი პირის გადაწყვეტილება?

არასასურველი პირი გადაწყვეტილება აცხადებს იმას რომ თქვენი ყოფნა ნიდერლანდებში არასასურველია. თქვენ ღებულობთ ამ გადაწყვეტილებას იმ დროს როდესაც IND-მ გადაწყვეტს რომ თქვენ ნიდერლანდებისთვის საფრთხეს წარმოადგენთ. ეს არის ზომიერება იმ ადამიანებისთვის რომლებს სისხლისამართლებრივი დანაშაული აქვთ ჩადენილი. ხშირ შემთხვევაში ლაპარაკია სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ქმედებაზე. არასასურველი გადაწყვეტილების გამო თქვენ ნიდერლამდები დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ. ამის შემდეგ თქვენ აღარ გაქვთ უფლება ნიდერლანდებში შემოსვლაზე. არასასურველი პირის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით თქვენი პირადი მონაცემები იქნება შეტანილი საინფორმაციო სისტემაში. მე-3 პუნქტის ქვეშ წაიკითხავთ ინფორმაციას საინფორმაციო სისტემაში შეტანილი გათრთხილების შესახებ.

2. რა არის არასასურველი პირის ხანგრძლივობა?

არასასურველი პირის გადაწყვეტილებას როგორც წესი არა აქვს დასრულების თარიღი და მხოლოდ იმ დროს ჩერდება IND-ს გადაწყვეტილებით. ეს არის შესაძლებელი როდესაც თქვენ ამ გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით მიმართავთ საიმიგრაციო და ნატურალიზაციის სამსახურს (IND)-ს.
მე-8 პუნქტის ქვეშ მოცენულია განმარტება თუ რანაირად მოითხოთ ამ გადაწყვეტილების გაუქმება.

3. რას ნიშნავს გაფრთხილება საინფორმაციო სისტემაში?

თქვენ ხართ გაფრთხილებული როგორც არასასუეველი პირი, არასასურველი პირის გადაწყვეტილების მიღების გამო. ეს იმას ნიშნავს რომ შელისუფლებამ თქვენი პირადი მონაცემები საინფორმაციო სისტემათი შეიტანა. მესაზღვრეებს და პოლიციას ამ გაფრთხილების საშუალებით საინფორმაციო სისტემაში მოიძიონ ინფორმაცია რომ თქვენ არასასურველი უცხოელი ხართ. რის შემდეგ თქვენ საზღვარზე გაგაჩერებენ. ამ შემთხვევაში თქვენ ქვეყანათი შესვლა აგეკრძალებად.

განკარგულებაში მითითებულია თუ რომელ საინფორმაციო სისტემაში არის შეტანილი თქვენი პირადი მონაცემები.

არსებობს 2 სისტემა:

- Executie & Signalering (E&S): ეს არის საინფორმაციო სისტემა რომელიც ნიდერლანდების სამეფოს პოლიციას და მესახღვრეებს ემსახურება.

- Schengeninformatiesysteem (SIS): ეს არის ევროპული საინფორმაციო სისტემა, რომელშიც შენგენის ქვეყნების მესაზღვრეებისა და პოლიციას ემსახურება.
  აქ მითითებულ ვებ გვერდზე მოიძიებთ ინფორმაციას შენგენ ქვეყნების შესახებ: www.ind.nl/schengengebied ან www.ind.nl/schengenarea.

თქვენი მონაცემების გამოვლენა შესაძლებელის მხოლოდ ერთ საინფორმაციო სისტემაში.

4. როდის ხდება თქვენი მონაცემების SIS ან E&S საინფორმაციო სისტემებიდან გაუქმება?

თუ თქვენ არასასურველ გადაწყვეტილების მუდმივი გაუქმებას მოითხოვთ და თქვენი მოთხოვნა დადებითად გადაწყდა.

5. რა შეიძლება მოხდეს იმ დროს როდესაც მაინც ნიდერლანდებში ხართ?

ნიდერლამდებში ყოფნა ისჯება. თქვენ თავისუფლების აღკვეთა შეგეფარდებათ მაქსიმალურად 6 თვით და ან ფულადი ჯარიმა ათასი ევროს რაოდენობით. რაც მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-197 მუხლის მიხედვით.

6. როგორ უნდა მოიქცეთ იმ შემთხვევაში თუ არ ეთანხმებით არასასურველი პირის გადაწყვეტილებას?

თქვენ შეგიძლიათ საიმიგრაციო და ნატურალიზაციის სამსახურს წინაამღდეგობით მიმართოთ. გადაწყვეტილებაში რომელიც თქვენ მიიღეთ მითითებულია თუ როგორ მოაგვარებთ ამას.

7. როდის იქნება თქვენთვის შესაჩლებეთი ნიდერლანდებში კვლავ მოგზაურობა?

იმ შემთხვევაში თუ იმიგრაციის და ნატურალიზაციის სამსახურმა IND-მ გააუქმებს არასასურველი პირის გადაწყვეტილებას. ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც თქვენ იმიგრაციო და ნატურალიხაციის სამსახურს მიმართავთ თხოვნით და IND-მ დააკმაყოფილებს თქვენ მოთხოვნას.

8. რანაირად მოითხოვთ არასასურველი პირის გადაწყვეტილების (დროებითი) გაუქმებას?

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ არასასურველი პირის გადაწყვეტილების გაუქმება. განსაკუთრებელ და გადაუდებელი მდგომარეობის დროს თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ გადაწყვეტილების (დროებითი) გაუქმებას. გადაწყვეტილების დროებითი გაუქმების მოთხოვნის დროს განაცხადი უნდა შეავსოთ. ამ დროს უნდა გამოიყენოთ ამისთვის განსაზღრული ფორმა ვებ გვერდზე *Verzoek tot opheffing van een ongewenstverklaring, inreisverbod of besluit tot signalering* (9004 of 9504) op de website. შეავსეთ გამაცხადი და გაუგზავნეთ საიმიგრაციო და ნატურალიზაციის სამსახურს IND-მ.

ასევე ვინმე სხვას შეუძლია თქვენთვის მოითხოვოს გადაწყვეტილების გაუქმება. იმ პიროვნებას თქვენ ოფიციალური მინდობილობა გასცეთ რომ თქვენი სახელით იმოქმედოს. ამას თქვენ მიუთითებთ განაცხადში აღნიშნავთ და თქვენ პირადათ ხელს მოაწერთ. ამას ეწოდება მინდობილობა.

9. როგორ უნდა მოიქცეთ შეკითხვების შემთხვევაში?

- იხილეთ ჩვენი ვებ გვერდი www.ind.nl/ongewenstverklaring ან www.ind.nl/en/undesirability.
- დაგვიკავშირდით საიმიგრაციო და ნატურალიზაციის IND-ს საინფორმაციო ხაზზე +31 88 043 04 30.
  ეს ნომერი მისაწვდომია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09.00 tot 17.00 საათს.

პუბლიკაციის შინაარსიდან არავითარი უფლება არ გამომდინარეობს. თუ თარგმანი იწვევს ინტერპრეტაციაში განსხვავებას, უპირატესობას ანიჭებს ჰოლანდიური ვერსია. ამ პუბლიკაციის ტექსტი შეიძლება გამოყენებულ იქნას წყაროს მითითებით.